



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

28 სექტემბერი 2011 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №157**

**ვალერიან გირკელიძის პრემირების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კომისიის თავმჯდომარეს - ვალერიან გირკელიძეს საკრებულოს მუშაობის შედეგებში შეტანილი პირადი წვლილის გათვალისწინებით მიეცეს პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:**

**ალეკო მამეშვილი**